სასოფლო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: — გაუგზავნელათ:

მთლის წლისა — 7 მან. — — — — 6 მან.

ნახევრის წლისა — 4 — — — — — 3 — 50 კ.

სამის თვისა — 2 მ. 50 კ. — — — — 2 —

პირველი წელიწადი.

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ", при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებაში სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 3. სამშაბათი. I. 12 მარტს 1868 წ.

შინაარსი: — ოფიციალური ნაწილი: — მთავრობის განკარგულება. — კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესი სამმართველოს მიწერილობა გუბერნატორთან. არა ოფიციალური ნაწილი: იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სიტყვა. სამეურნეო ნაწილი: ორიოდე სიტყვა ჩვენს უმთავრესს სარჩოზე. — სახალხო მედიცინა. საქონლის ჭირისა და სხვა ავათმყოფობის ცნობა და სხვ. — რა მნიშვნელობა აქვს ჰაერს და საიდგან წარმოსდგება წვიმა. საანგარიშო ნიშნების ცნობა. — განცხადებანი.

ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ.

ПРАВИТЕЛЬСТВЕНН. РАСПОРЯЖЕНІЯ

Тифлисъ, 7-го марта 1868-го года. По распоряженію Великаго Князя Намѣстника Кавказскаго, *назначаются*: членъ отъ мѣстныхъ дворянъ помѣщиковъ Тифлисскаго Губернскаго по крестьянскимъ дѣламъ Присутствія, исполняющаго съ тѣмъ вмѣстѣ обязанности мироваго посредника по г. Тифлису, Генералъ Маіоръ *Князь Орбеліани* исполняющимъ должность мироваго посредника 1-го Отдѣла Душетскаго уѣзда, съ увольненіемъ его отъ должности члена Губернскаго Присутсвія и отъ исполненія должности мироваго посредника по г. Тифлису; мировой посредникъ 1-го Отдѣла Тифлисскаго Уѣзда подполковникъ кн. Орбеліани исправляющимъ должность мироваго посредника по г. Тифлису. О таковомъ распоряженіи Его Высочества Великаго Князя Намѣстника Кавказскаго объявляется во все[illegible] свѣдѣніе.

Предложеніе Главнаго Управленія Намѣстника Кавказскаго Тифлисскому Гражданскому Губернатору.

Великій Князь Намѣстникъ, по случаю образованія съ 19 минувшаго февраля, въ составѣ Тифлисской Губеніи, новаго Душетскаго Уѣзда изъ частей Тифлисскаго и Горійскаго Уѣздовъ, изволилъ приказать: включенные въ составъ вновь образованнаго Душетскаго Уѣзда: II-й крестьянскій мировой отдѣлъ Тифлисскаго Уѣзда именовать I-мъ Отдѣломъ Душетскаго Уѣзда, а IV-й Отдѣлъ Горійскаго Уѣзда II-мъ Отдѣломъ того же Душетскаго Уѣзда; за тѣмъ III-й Отдѣлъ Тифлисскаго Уѣзда, по порядку нумераціи, именовать II-мъ Отдѣломъ Тифлисскаго Уѣзди, а V Отдѣлъ Горійскаго Уѣзда IV Отдѣломъ Горійскаго Уѣзда.—

ოფიციალური ნაწილი.

მთავრობის განკარგულება.

ტფილისი, 7 მარტს 1868 წელს. დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით დაინიშნებიან: თავად-აზნაურთ მებატონეების მხრით ამორჩეული წევრი ტფილისის ქალაქის მომრიგებელ შუამავლის (მიროვოი პოსრედნიკის) თანამდებობის ამსრულებელი გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი — დუშეთის უეზდის პირველის განყოფილების მომრიგებელის შუამავლის (მიროვოის პოსრედნიკის) თანამდებობის ამსრულებელათ; ამასთანავე ის დაითხოვება გუბერნიის სასამართლოს წევრის თანამდებობიდგან და ტფილისის ქალაქის მომრიგებელი შუა-მავლის თანამდებობის ასრულებიდგან; ტფილისის უეზდის პირველი განყოფილების მომრიგებელი შუამავალი, პოდპოლკოვნიკი თავადი ორბელიანი — ტფილისის ქალაქის მომრიგებელი შუამავლის თანამდებობის ამსრულებელათ.

ამ გვარი განკარგულება მისის უმაღლესობის დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისა განიცხადება საზოგადო საუწყებელათ.

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს მიწერილობა სამოქალაქო გუბერნატორთან.

დიდმა მთავარმა კავკასიის ნამესტნიკმა 19 წარსულ თებერვლიდგან რომ ტფილისის გუბერნიაში ახალი დუშეთის უეზდი გაკეთდა ტფილისისა და გორის უეზდის ნაწილებიდგან, იმის გამო ბრძანა: რომ ახლად გაკეთებულს დუშეთის უეზდში შერიცხულნი: ტფილისის უეზდის მეორე საგლეხო მოსარიგებელი განყოფილება იწოდებოდეს დუშეთის უეზდის პირველ განყოფილებად და გორის უეზდის მეოთხე განყოფილება იმავე დუშეთის უეზდის მეორე განყოფილებად; ამასთანავე ტფილისის უეზდის მესამე განყოფილება, როგორც რიცხვთა წესი მოითხოვს იწოდებოდეს ტფილისის უეზდის მეორე განყოფილებად; ხოლო გორის უეზდის მეხუთე განყოფილება გორის უეზდის მეოთხე განყოფილებად.

არა ოფიციალური ნაწილი.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელის სიტყვა, წარმოთქმული 19 თებერვალს.

19 თებერვალს, ახალი სასამართლოების გახსნის დღეს, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა წარმოსთქვა სიტყვა მთავარ-ანგელოსის საყდარში ქუთაისს. რადგან ჩვენს მკითხველებსაც გვინდა გავაგონოთ ეს მშვენიერი სიტყვა, ამისთვის ვთარგმნით იმას ქართულათ:

„ჩვენის მეფის ტახტზედ ასვლისაგამო, ჩვენის და მთელის რუსეთის საზოგადო დღესასწაულობასა დღეს მიემატება ჩვენი საკუთარი დღესასწაულობაცა სახალხო სასამართლოების გახსნისთვის, და ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც დღევანდელს დღეს ღმერთს ვევედრებოდით ჩვენს საყვარელს ხელმწიფეზე, კიდევ უფრო ძლიერდება ახლად მონიჭებულის იმის კეთილის მყოფლობისგამო. ეჭვი არ არის, რომ ყველასათვის თანასწორი, ჩქა-

რი და მიუდგომელი საერო სასამართლოს დაწესებაც ერთი იმ უმთავრესი ცვლილებათაგანია, რომელნიც ამ მეფობაში მომხდარან. უმისოთ სხვა ცვლილებანიც სრულიად ვერ გამოიჩენდნენ თვისს ძალასა და რამდენსაც მოველოდით იმდენს სარგებლობასაც ვერ მოგვცემდნენ; ამას ესეც რომ დაუმატოთ, ვგონებ, არ შევცდებით: სახალხო და საერო სასამართლო ყველაზე უფრო ჩვენშია საჭირო და თუ კარგათ წარიმართა, არსად არ შეუძლიან იმდენი ნაყოფის მოტანა, რამდენიც ჩვენში. რაც უნდა მცირედი და სუსტი სამართალი ყოფილიყოს აქა ძველს დროში, ის მაინც ჩქარა და საეროთ სწყვეტდა საქმეებსა, უფრო ხშირად სამართლის წარმოება გაშლის ველზე იყო. ახლა, განათლებულნი პირნი რომ გონიერათ იხმარებენ უკეთესს სასამართლო სჯულსა, ის აღზრდის აქაურს ხალხს იმითი, რომ განუღვიძებს მართლმსაჯულობის გრძნობასა მიაჩვევს სიტყვაში და ყოფაქცევაში სიფრთხილესა, რომელიცა ლაპარაკში არა სჩვევია იმასა.

მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ განმართლდება, როდესაც სჯულის მდებლის ნება წარმატებით ასრულდება. სჯული რაგინდ გონიერად მოსაზრებული და წარმოთქმული არ უნდა იყოს, ხალხისთვის მისი სარგებლობა მაინც ამსრულებელზეა დამოკიდებული. ძმანო, თქვენ ყველანი მპყრობელის ნებით მოწოდებულნი ამ დიდ საქმის ასასრულებლად, უეჭველად, უფრო ჰგრძნობთ, თუ რამდენათ სამძიმოა თქვენთვის ეს ახალი თქვენი მოვალეობა. ამიერითგან არა თუ მარტო თქვენთა უფროსთა თვალნი შეჰყურებენ თქვენს მოქმედებას, არამედ ათასი თვალი გიცქერისთ და ათასი განსჯის თქვენს სამართალსა. დიდი და პატარა, ყველა ზოგს თქვენთაგანს გაჰკიცხავს და ზოგს ქებას დაუწყებს. ამიერითგან შრომაც და პასუხისგებაც ბევრათ მოგემატებათ უწინდელზე.

ამ არა ჩვეულებრივს სამძიმო მოვალეობაში მხოლოდ ერთი გარეგანი ძალდატანებული მოქმედება ვერრას მოგეხმარებათ, თუ სულიერი ძალითაც არა ხართ გამხნევებული. რაში მდგომარეობს ეს სულიერი ძალა? ზოგი იტყვის, სინიდისში,-სხვანი იტყვიან, მოვალეობის ცნობაში, პატიოსნებაში, კეთილ განზრახვაში. ერთი უძველესი ბრძენთაგანი ჰპოებს მას ღმრთის შიშში: Боящійся Господа обрящутъ судъ и оправданіе, яко судъ возжгутъ, ესე იგი ვისაც ღმერთის შიში აქვს, ის ყოველ საქმეს მართლად გაასამართლებს. მაგრამ თუ გნებავსთ ამ ძალას სინიდისი დაარქვით, მხოლოდ იგი უნდა იყოს განათლებული ღმრთის ხსოვნითა, თუნდა იგი იყოს მოვალეობის ცნობა, განმტკიცებული ღმრთისადმი მოწიწებითა, რომელ, არს წყარო ყოვლისა სიმართლისა. აგრეთვე შეიძლება იგი იწოდოს პატიოსნებათ, მაგრამ ქრისტიანობრივს პატიოსნებათ და არა მსოფლიო პატივის მოყვარეობად. ერთი სიტყვით: კაცთა მსაჯული ყველაზე უფრო, უნდა ჰგრძნობდეს თავის თავს პასუხის მგებლად ღმრთის წინაშე. ამან უნდა ჰსაჯოს ისე, როგორც ღმრთის საქმე, იმ რწმუნებით, რომ იგი მსახურებს ღმერთსა და არა მხოლოდ კაცთა. ზარნა სამართალი რომ ღმერთის საქმეა, ამის დასამტკიცებლათ დავუგდოთ ყური ღმრთით განათლებულსა წინასწარმეტყველსა და სჯულის მდებელსა მოსეს. როდესაც იმან აარჩია მსაჯულნი ებრაელებისთვის, მაშინ აი რა მცნება მისცა იმათ: ნუ განარჩევთ პირთა სამართლის წინაშე; უგონებდეთ როგორც წვრილთა, ეგრეთვე დიდთა; ნუ გეშინინ პირთა კაცისათა, რამეთუ იგი არს სამართალი ღმრთისა.

ამ წმინდა მცნებით განმტკიცებულს მოსამართლეებს ხალხზე განუსაზღვრელი გავლენა ექმნებათ. იმათ შეუძლიანთ ძირიდგანვე თანდათან შესცვალონ საუკეთესოთ ხალხის ზნე. ყოველი საქმე გონივრად გადაწყვეტილი და გამოცხადებული ხალხის წინაშე საუკეთესო შესაგნებელი მაგალითი იქნება ხალხისთვის. რომ ოდნათაც არ შევამციროთ განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა ღმრთის მსახურთა, შეიძლება ვთქვა, რომ ამ შემთხვევაში გონიერი მოსამართლეების გავლენა ხალხზე შეედარება საუკეთესოთა ღმრთის სიტყვის მქადაგებელთა. ღმერთი შეგეწიოსთ, რომ განამართლოთ მეფის რწმუნება და ხალხის იმედი

სამეურნეო ნაწილი.

ორიოდე სიტყვა ჩვენს უმთავრესს სარჩოზე.

დიდი ხანია მასუკან, რაც კაცის სარჩოდ გამხდარა პური და პურის გვარი მცენარეები. (იქნება მკითხველს დაავიწყდა ისა, რომ ყო-
ველ გვარ მიწის ნაყოფს, ხეს, ტყეს, ბალახს
და ბალახეულს საზოგადოთ მცენარეს ეძახი-
ან). რაკი ერთხელვე კაცი დაბინავებულა, და-
უდგამს ქოხი და შიგ ცოლშვილი დაუყენე-
ბია, მას აქეთ კაცი ყოველ წლივ სთესავ
პურს, დიკას, ქერს, შვრიას, სიმინდს და სხვ
პურის გვარს მცენარეებს. სულ პირველად
კაცს, რასაკვირველია, არ ეცოდინებოდა არც
ხვნა, არც თესვა, არც ხორბლის ფქვა, არც
პურის გამოცხობა. იმ დროს, უეჭველად
კაცს ტყე-ტყე უნდა ევლო, ხელში უნდ
სჭეროდა ან ქვის კეტი, ან შვილდ-ისარი, რო
ოთხ-ფეხი და ფრინველი ეხოცა და იმითი თა
ვი ერჩინა. ეს დრო კაცის-ცხოვრებისათვი
ძალიან გაჭირვებული დრო უნდა ყოფილიყო
მუდამ მგელსავით გავარდნილი უნდა ევლო
ამიტომ რომ ცხოველსაც თავის ჭკუა აქვს
მტერს რომ დაინახავს, გაექცევა. დიდი მოთ
მინება და ხერხი უნდა ჰსდომოდა საწყალ
კაცსა, რომ რომელსამე ველურს (გარეულს
ცხოველს მიჰპარებოდა და მოეკლა თავი
უხერხო იარაღითა; ან თუ მოჰკლავდა, იმ
დენს სად მოჰკლავდა, რომ სამერმისოთა
(შემდეგ-ც) ჰყოფნოდა და რომ კიდევაც ბ
ვრი მოეკლა დიდხანს მაინც ვერ შეინახავდა
ამიტომ რომ ხორცი მალე ხდება, აყროლ
დება და კაცი ველარ ჰსჭამს. ამის გამო თუმ
ცა „ჯეირნის მწვადი შიშინით ცეცხლზედ
დასტრიალებდეს“ საქეიფო და მადის გამღვ
ძებელი რამ უნდა ყოფილიყო იმ დროსა, მა
გრამ უბედურობა ეს იყო, რომ ეს ქეიფი ერ
თი წამის, ან წუთის ქეიფი იყო. მწვადის შე
ჭმის შემდეგ კაცი ისევ უნდა გამდგომოდ
ახალს ჯეირანს, და ისევ ტყეში და ღრეებზ
უნდა ეწანწალებინა. ამ დროს კაცს ერთ წუმ
თას მოსვენება არ უნდა ჰქონოდა, ნიად
ნადირსავით დილიდგან საღამომდის უნდა ერ
ბინა. იმ დროს ნადირი იქნებოდა მხეცა
და კაცი იმის ნადირათ. ამისთანა ცხოვრე
ბაში არც მოსვენების სიტკბოება ეცოდინე
ბოდა კაცსა, არც თავის ცოლშვილში ტკბი
ლად დროს გატარება. კაცს არ ჰქონდა ხვა
ლისთვის სარჩო მომზადებული. ამ დროს კა
ცის გონებაც ისე უნდა ყოფილიყო გამოუ
ცდელი და აუხილავი, როგორც სხვა ნადი
რისა. ახლა რომ კაცს თავისი ჭკუა ბუნები
მეფედ ჰხდის და ბუნებას იმის მონათ, მაშინ
ეს ჭკუა მიძინებული იყო, სწავლით და გამო
ცდილებით არ იყო გამდიდრებული; ღამეშ

რომ ხ ს ფოთლების შრიალი გაეგონა, კაცი ურთხ ბოდა, ამიტომ რომ არ იცოდა თუ რა ანძრევდა იმ ფოთლებს.; იმას ეგონა, რომ ყოველს ფოთლის ქვეშ გრძნეული სული იმალებოდა იმის მოსაკლავად, ან დასაშავებლად. ქვეყნიერობისა არა გაეგებოდა რა და უცოდინარობით ყველაფრისა ეშინოდა. Ეშაფერს ღმისა ეშინია; მაგრამ როგორც კი თან-დათან გაიზრდება და ხშირად შეიმოხვევა ხოლმე ღამ-ღამე სიარული, მაშინ შიშიც თან-დათან გაუქრება, ამიტომ რომ შეიტყობს, როგორც დღე არა არისა საშიშო, ეგრეთვე ღამეცა. Ქაციც ასე იყო. Ჯერ ყველაფრის ეშინოდა, ამიტომ რომ არც ერთის ქვეყნიერი ნივთის ანგარიში არ იცოდა. Ამ მდგომარეობაში ერთი ღა იმედი კიდე დარჩენოდა კაცსა-ეს იყო იმისი ჭკუა, რომელიც თან-დათან უნდა ახელილიყო გამოცდილებით; იმას ადრე თუ გვიან, უნდა შეიტყო ყოველი ნივთის დანიშნულობა და ამ შეკრებილ სწავლით თავისი ცხოვრება უნდა გაეკეთებინა. Დიდი დრო და დაკვირვება უნდა დასჭირებოდა იმას, რომ შეეტყო სათესლე პურის ანგარიში. Დაკვირვებით უნდა გამოეკვლია, რომ ყოველი მცენარე და მცენარეებში პური ცა თესლით მოდის, თესლი გალბება მიწაში, ცოტა ხანს 'ემდგ ამოვა მიწიდგან ბალახთა, ეს ბალახი დროს განმაელობაში თავეთავს იკეთებს, თავთავი მწიფდება, იმაში მარცელებია, რომელსაც ჩვენ ხორბალს ეეძახით; მერე ამ ხორბლის დაფქვას და საფქვავი წისქვილის მოგონებას, ფქვილის მაზელას და გამოცხობას; ამაების შეტყობამდის ჯერეთ ყოველს ფრის უცნობს კაცსა, რასაკვირველია, მკითხველო, ძალიან დიდი დროც დასჭირებოდა და ბევრი კაცის ჩამომაელობაც დაიმარხებოდა უნუგეშოთ. Მაგრამ რაკი რომ პურის და სხვა სასარგებლო მცენარის შემუშავებას ისწავლიდა, ამის შემდეგ კაციც, რასაკვირველია, ერთს ადგილს უნდა დამდგარიყო და გაეჩაღებინა კერა თავის სახლობის გასათბობლად. პურის მოყვანას რომ ისწავლიდა, შემდეგ კაცს ალარა გაუჭირდებოდა რა. Ის დაბინავდებოდა ერთს ალაგს. სარჩოს სმაყოფაზე მეტს მოი ყვანდა, ამიტომ რომ სოფლის გაჩენიდგან მოკიდებული მიწას არავინ მუშობდა და ამისთვისაც მიწა ძალიან ნოყიერი უნდა ყოფილიყო, ისე, როგორც ყოველი ნაფუზეარი. Ამას იქით კაცს თავისუფალი დროც უფრო ბევრი მიეცემოდა, სარჩოს სიუხვის გამო და ამ თავისუფალს დროსა ის მოიხმარდა ფიქრობაში და სხვა და სხვა თავის სასარგებლო ნივთების მოგონებაში,-ამ სახით კაცი თან-და-თან უნდა მისჩვეოდა ჭკუის ზრდას და შეძენილის სწავლით ამის გამდიდრებასა.

პურს დიდი საქმე უქმნია კაცის განათლებისთვის. რაკი რომ პურის სარგებლობას მიმხვდარა კაცის ნათესაობა და რაკი კაცს გამოცდილებით უსწავლია პურის მოყვანა, შემდეგ კაცსა ტყე-ტყე რბენისთვისაც თავი დაუნებებია. ნადირობა არც პურის მოყვანის შემდეგ მოუშლია, მაგრამ გარეულის ცხოველის დევნაში სულ არ გადაიკარგებოდა: ერთი, ორი, ან ს

დროზედ სასუქითაც არ ასუქებენ ხოლმე. ხორბალი არის ორ გვარი: ერთს ეძახიან ძველ-თესლს და ჰსთესენ შემოდგომაზედ, ენკენის თვეში და ღვინობის თვეში; მეორეს კი ჰქვიან ახალ-თესლი; ამას გაზაფხულზე სთესენ—მარტშია და აპრილში. ჩვენში კარგი პური მოჰყავთ ქართლში და სომხითში (სამხრეთი სომხითში უფრო ხშირად თავთუსსა და თეთრ ხორბალს სთესენ; ქართლში კი უფრო მამხობელი და დაკამოჰყავთ. ქახეთშიაც და ჟუთაისშიაც სთესენ ხორბალს (ბეერნაირს), მაგრამ იქ ერთობ ეაჭრობენ ამითი და ამიტომ იმდენი მოჰყავთ, რამდენიც თითონ ეყოფათ.

ბეერგან ხორბლისთვის მიწას შეიმუშავებენ ხოლმე, სასუქსაც აყრიან, მაგრამ ჩვენში ამას თითქმის სრულებით არაკენ დასდეეს. ჩვენში იციან მიწის დასვენება, ესე იგი ამ წელიწადს მოჰხენენ, მეორე წელიწადს კი თავს დაანებებენ, დაასვენებენ ხოლმე. ამ გვარი თესვისაგან ბევრი მიწა არის ჩვენში მომცდარი. სხვა ქვეყნებში, საცა მიწა ნაკლებათა აქვსთ, ასუქებენ კიდეც სასუქით და ამასთან ყოველ წელიწადს ხორბალს არა სთესენ; პირველ წელიწადს რომ ხორბალი დათესონ, მეორე წელიწადს სხვა სასარგებლო თესლსა სთესენ, ცერცეს, იონჯას, სიმინდს ან სხვა ამ გვარ თესლებს. ესენი მიწას ძალიან არ აცლიან ნოყიერებას და ამასთან ამათი მიწაში დარჩომილი ფესვები ისევ ლპება და ნოყიერებას უმატებს მიწას; მაშინ მეორე წელიწადს შეიძლება ხორბლის დათესა და მესამეზედ ისევ სიმინდისა, ცერცისა, ან სხვა ამ გვარი რამისა და სხვა.

ძველი თესლი ისეთ დროს უნდა დათესოს, რომ დათესილს ყინვამ ერთ თვეზედ აღრე არ მოასწროს; და საცა კარგი ჰაეა, იქ უფრო აღრე, ყინვებამდის ექესი, ანუ შვიდი კვირით წინ.

ხორბალი არ უნდა დათესოს ძალიან სქლად (ხშირად), რადგან ერთი მარცვლიდგან რამდენიმე ღერო ამოვა ხოლმე; მაგრამ ესეც კი უნდა იცოდეს დამთესავმა, რომ რამდენიც მსუქანი მიწაა, იმდენი უფრო ხშირად შეიძლება დათესვა, რადგან მსუქან მიწაში ბევრი საზრდო ექნება ხორბალს; მაინც ისე ხშირად კი არ უნდა დათესოს, რომ ამოსულმა ღეროებმა ერთმანერთს დაუშალონ გაზდა და აენონ.

დასათესად ყოველთვის ძველი ხორბალი სჯობია, ამიტომ რომ ახალმა გალეწილმა ხორბალმა აეადმყოფობა იცის. თავთავი უშავდება ხოლმე და მარცვლების მაგიერათ შავი ფქვილი აქვს შიგ. Oუ კარგი ძველი ხორბალი დაითესა, თავის დროზედაც და კარგს და კარგად მოხნულს მიწაზედ, მაშინ მეჭირნახულეს ყოველთვის ერთი-ოცდა ათათა და ორმოცად დაჯილდოებს. დაფარცხვის დროსაც, ისე უნდა დაიფარცხოს, რომ ხორბალი არა ჩნდეს მიწაში; ცუდად დაფარცხულ ნათესს ყინვების დროს ყოველთვის ფესვი დაუძრება და წახდება. შეცხო ბალახებიც ძალიან აწყენს ყანის ამოსვლას. ჯერ ერთი, რომ მიწიდამ საზდოს აცლის და გაჩრდის დროს სჩაგრავს; მეორეც ამითია ცუდი, რომ გალეწვის დროს ხორბალში ერევა უცხო თესლები და საძაგელი ღვარძლი, რომელნიც პურს აუგემურებენ და მაწყინარს ჰხდიან კაცისთვის. ამისათვის ძალიან საჭიროა, რომ ყანა გამარგლონ და უცხო ბალახები გააცალონ ხოლმე, ამას თუმცა ხარჯი უნდა, მაგრამ მაშინ მოგება გამარგვლის ხარჯზედ ერთი ორად ექნება; ამიტომ რომ პურიც ერთგვარად ბევრი მოუვა, წმინდა, გემრიელი და შემრგო�d იქნება, ყანა მაშინ უნდა გამარგლონ, როდესაც ჯეჯილი ერთ გოჯზედ არის ამოსული და ამასთან გამარგვლისათვის ყოველთვის მზიანი და მშრალი ამინდი უნდა ამოირჩიონ ხოლმე.

მანამ ჯეჯილი ღეროდ იქცევა, მარგებელია ყანისათვის თბილი ამინდი და დროგამოშვებით წვიმა; თავთავი როცა უყოდება ხორბალს, თუ მაშინ წვიმიანი ამინდი დაუდგა ყანას აეადმყოფობა გაუჩნდება თავთავი უშავდება და მარცვალი უფუქდება. ამ აეადმყოფობის გარდა ყანამ იცის, ღეროებზედ ყვითელი ლაქები დაჩნდება ხოლმე; ამ აეადმყოფობას ეძახიან ყანის ჟანგს. ᲐᲮᲐᲚᲐᲡ ᲟᲐᲜᲒᲘ მაშინ მოსდის, როდესაც დაუდგრომელი ამინდი დუდგება, ესე იგი, როდესაც სიცხის შემდეგ ერთბაშად აცივდება და წვიმების შემდეგ ერთბაშად გახმება ხოლმე მიწა.

ხორბლის მომკა მაშინ უნდა, როცა ჯერ ძალიან შემოსული (დამწიფებული) არ არის ყანა, ამიტომ რომ გადამწიფებული (ძალიან შემოსული) ხორბლისა და სხვა მარცვლის ფქვილიც ნოყიერი არ არის. სათესლედ კი ყოველთვის კარგი შემოსული (დამწიფებული) უნდა იყოს. ხორბალი ყველა მარცვალს სჯობია ნოყიერებით—სიმინდსაც, ღომსაც, ბრუსულ პურსაც, ფეტვსაც და ქერსაც.

ᲐᲮᲐᲚᲗᲔᲡᲚᲘ (გაზაფხულის თესლს) აღრე უნდა დათესვა, მაგრამ წვიმიანი, ძალიან სველი ამინდი კი არ უნდა იყოს. ზოგ სხვა ქვეყნებში ახალთესლს შემოდგომაზედვე მოუმზადებენ ხოლმე ნახნავს. ენკენისთვეში მოახნავენ, დააყრიან სასუქს, ღეიორზედ ოცდაათ ურემს, კიდევ მოჰხენენ და ისე გაუშვებენ გაზაფხულამდის; გაზაფხულზედ კიდევ მოჰხენენ და დაჰსთესენ და დაჰფარცხავენ ხოლმე. ᲐᲮᲐᲚᲗᲔᲡᲚᲛᲐ უფრო პატარა ბუჩქი იცის, ესე იგი ერთ მარცვალს ბევრი ღერო არ ამოაქვს, ამიტომ ახალთესლი უფრო ხშირად უნდა დათესონ. ᲐᲮᲐᲚᲗᲔᲡᲚᲛᲐ უფრო ხშირად იცის თავთავის გაკეთება; ამის გამო მცოდნენი მთესველებს ურჩევენ, რომ თესლი კირიან ან შაბიამანიან წყალში დაალბონ და ისე დათესონ ხოლმე. ᲐᲮᲐᲚᲗᲔᲡᲚᲘ უფრო გვიან უნდა მოიმკოს ძველთესლზედ. მოსავალი ძველთესლისა სჯობია.

ᲐᲭᲐᲠᲐ (აჭარა ბრინჯი) უფრო აიტანს ხოლმე ყველა ნაირ ამინდსა და მიწას, ვიდრე ხორბალი; არც თავთავის გაშავება იცის ხშირად. ᲐᲭᲐᲠᲐ არის ახალ-თესლიც და ძველი თესლიც. როგორც ხორბალს სთესენ, ისე აჭარას უნდა დათესვა და ისეთ მიწაში, როგორიც ხორბალს უხდება; ესეც კია, რომ ბევრჯერ აჭარა გამხმარ, გამოფიტულ მიწაშიც მოდის ხოლმე. ᲐᲭᲐᲠᲐᲡ მოვლა ისეთივე უნდა, როგორიც ხორბალს. რადგან აჭარას თავთავი დგან მარცვალი ადვილად სცვივა, ამიტომ მაშინ უნდა მომკან, როდესაც ღერო თეთრი აქვს და მომკის უმალვე წაიღონ მინდერიდგან, თორეს ბევრ ხანს მინდორში ყოფნისა თავთავი სულ დაეცლება; აგრეთვე წადებ დროს ურემს ქვეშ უნდა დაეგოს რამე. ᲐᲭᲐᲠᲐ მარცვალი ხორბალზედ ორჯერ მსხვილია; მაგრამ რადგან მცვივანა თავთავი იცის, ამის გამო ბევრი სცვივა და იკარგება უბრალოდ.

ხორბლის მოყვანა ბევრ ნაირად არის სასარგებლო: ერთი, რომ პური ყველა სხვა თესლის პურზედ ნოყიერი იცის; მეორე იმისგან აკეთებენ სახამებელს; იმის ბზეს საქონლის საკმელად ხმარობენ და აგრეთვე ნამჯა ძალიან სასარგებლოა გომებში საქონლის ქვეშ დასაგებად.

სასალხო რდიცინა (ძმიმოგბა, მაურნალოგბა).

(გაგრძელება).

რა ემართება კაცს, როცა დალლილობის დროს ბევრს წყალსა სვამს? თუ კაცი ძალიან დაღალულია და ოფლშია გაცურებული, მაშინ რომ ბევრი წყალი დალიოს, უეჭველად ცოტა ხანს შემდეგ კვალები დადგება, ხველა აუტყდება და მეცელიც ძრიელ ასტკივდება. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია ყველაზე უფრო კარგი წამალი ის იქნება, რომ კაცმა მაშინვე მიჰყოს ხელი მუშაობასა და ისევ ოფლი იდინოს ჯადფითა და თუ სამუშაო არა აქვსრა, ირბინოს მაინცა და ამ რიგათ გახურდეს. თუ რომ ამის თავდარიგი არ დაუჭერია, და თუ წყლის სმის შემდეგ ხმა წაერთო, ჭვალები დაადგა და ხველებაც დაუწყო, მაშინ ყელზედ უნდა შემოიდოს ან მდოგვის ცომი, ან ხრენის ნაფცეკი ან წმინდათ დანაყილი ბოლოკი, ან ნიორი. ესენი უნდა დაიდოს უფრო იმ ალაგებზე, საცა ტკივილები გასჩენია. სანამდის კანი ძალიან არ აეწვის და არ გაუწითლდება, მანამდის არ უნდა მოიხსნას. ღამით ძილის დროს თითო კოვზი გადნობილი ცხერის ქონი უნდა დალიოს. თუ მუცელში გრეგმა აქვს და გახსნილია, მაშინ უნდა მოახარშინოს უგრეხელა და უერბოოთ სვამოს ხოლმე, არც მჟავე და არც მარილიანი რამე არ მიეკრას. ამისთანა წამლობამ თუ არა უყორა, უნდა აიღო ლორის პატრეი დასწვა ტაფაზე და იმის ფერფლი ერთი ჩაის კოვზი ჩაჰყარო ერთ პატარა სტაქანს მაგარს ღვინოში და აეადმყოფს უნდა დაალევინო. თუ პირველ დღეს არა უყოსრა, მეორე დღესაც და მესამე დღესაც ოგეე წამალი უნდა გაუკეთო. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ტკივილები გაუძნელდება აეადმყოფსა და შეღავათი არა მიეცემარა, მაშინვე სწავლულს ექიმთან უნდა აფრინო კაცი და იმას აწამლებინო. თუ დოკტორი შორს იქნა, ან თუ ვერ ნახეს, მაშინ მთელი დიდი პარკი გაცხელებული ქატო უნდა შემოადვა მუცელზე და ამასთან კანაფის ზეთი უნდა ასვა. თუ ამნა�აც არ გახსნა მუცელში, მაშინ ორი კოვზი სელის ზეთი უნდა დაალევინო.

წ ე ი მ ა ში დ ა ს ვ ე ლ ე ბ უ ლ ი ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი, ან ფეხსაცმელი რომ არ გამოიცვალო და თუ გაოფლიანებულმა უცბათ გარეთი ტანსაცმელი გაიძვრე ნამეტნავათ იმ დროს, როცა სიგრილეა, მაშინ კაცს გაუცივდება კანი; ტანის კანს ოფლი აღარ გამოჰყავს; კარგათ მყოფს კაცსა კი ოფლი ცოტა-ოდენი მაინც მუდამ სდის. ამ დროს კაცს აჟრჟოლებს ტანში და თავი სტკივა. ეს არის ციების ნიშანი. შემდეგ, თუ არა იწამლარა, აეადმყოფს მიეცემა დიდი სიცხე და წყურვილიც მოსდის. მადა ეკარგება, საჭმელი არ უნდა, ძალიან სუსტდება, თავი სტკივა და ბოდავს კიდეცა. აი, ეს არის ცხელების ნიშანი. სანამდის დიდი სიცხე არ მიუცია აეადმყოფისთვის, ძალიან კარგი იქნება, რომ იმან ცხელს აბანოში ოფლი იდინოს; მაგრამ რადგან ჩვენს ქვეყანაში აბანო ძვირათ არის, სოფლათ მაინც აბანო ვის გაუგონია, ამისთვის აეადმყოფმა ცხელს წყალში უნდა ჩაჰყაროს ფეხები მუხლამდის, ცხელი წყლის ორთქლი შეიყენოს და შემდეგ ოფლი იდინოს. თუ რომ აეადმყოფმა დროზე არ დაიჭირა ამისთანა თავდარიგი, და დიდი სიცხე მისცა, მაშინ აბანოში წასვლა აღარ შეიძლება; ის მაშინვე უნდა დაწვეს: ტფილათ დაიხუროს, ფეხებზე დაიდვას ცხელი ქატო და ცხელი დიკის წყალი უნდა დალიოს; ოთხი, ან სამი სტაქანი ცხელი დიკის წყალი რომ დალიოს, ეყოფა და ოფლსაც კარგათ იდენს. თუ ოფლი კარგათ მოუვიდეს, მაშინვე პერანგი უნდა გაიცხელოს და გამოიცვალოს. თუ ამას იქითაც არა ეშველარა, ციებისაგან ვერ განთავისუფლდა, კარგი იქნება, რომ აეადმყოფმა ტირიფის კანის ნადული სვას ხოლმე. ერთს მუჭა ტირიფის ქერქს დასხმენ ერთს ბოთლს წყალსა და კარგათ ადუღებენ. ეს ტირიფის ნადული დღეში სამი სტაქანი უნდა დალიოს ხოლმე აეადმყოფმა. (ღილით, შუადღისას და საღამოს). ტირიფის ქერქის მაგივრათ გადმოდუღებული სამყურა და აბზინდა შეუძლიან სვას ხოლმე. ღვინოში თუ გადმოადუღებ, ის კიდეც ემჯობინება. ეს წვენი დღეში ორ-ორი პატარა სტაქანი უნდა მიეღოს ხოლმე. ამასთანავე ღამით ხერხემლის ძვალი უნდა დაიზილოს ხოლმე ნიორ შერეულ სელის ზეთითა. ამისთვის ნიორი წმინდათ უნდა დანაყო, სელის ზეთში შეურიო და მერმე ცეცხლზე უნდა აადუღო.

თუ კაცი ცხელებით არის აეათ, უნდა დაადწვინო იმისთანა ტფილს სახლში, რომ არც ძალიან ცხელოდეს და არც ცივოდეს. შინ ჰაერი წმინდა უნდა იდგეს. სანამდის სიცხე არ გამონელდება, აეადმყოფსა არაფერი არ უნდა აჭამო. თუ მოითხოვოს, თბილი წყალი უნდა ასვა და თუ შეიძლება მიწის ძახველისა და მოცხარის წვენი. თავისტკივილის შესალაგავათებლათ ხელისა და ფეხის გულებზე უნდა დაადვა კუპრით გაგლეკილი ჩვარი; თავზე წითელი ჭარხლის ფოთლები, ან ხაპო; თუ მუცელში შეკრულია (ყაბზათ არის) ნახეკარი სტაქანი ღვინის თხლე ნახეკარ სტაქან რძეში არეული უნდა დაალევინო დილით. თუ არ გახსნა, მაშინ ცოტა ხანს შემდეგ ერთი კოვზი სელის ზეთიც უნდა მიუმატო წინანდელ წამალსა და ისე დაალევინო. როცა აეათ-მყოფი მორჩენას დაიწყებს, მადა გაეღვიძება, მაგრამ ამ დროს საფრთხილე უნდა: ერთბაშათ უკეთ მყოფმა ბევრი არ უნდა სჭამოს. სჯობინან, რომ ხშირ-ხშირად სჭამოს, მაგრამ ამასთანავე მსუქანი და ზეთიანის საჭმლის ჭამას ერიდოს, არც დიკა უნდა მიეკაროს, ხორბლის პური იმისთვის კარგი იქნება, აგრეთვე მჭლე ხორცი და ფშვრიაცა.

საქონლის ჭირისა და სხვა ავად-მყოფობის ცნობა და ივათი წამლობა ადვილის და ეფეის საშუალებით.

(გაგრძელება).

ცხოველთ კვება (საჭმლის ჭმეა).

უკაჭმლოთ ვერა ცხოველი ვერ იცხოვრებს ქვეყანაზე. ყველა ცხოველი ტუჩებისა და ენის შემწეობითა სჭამს და სვამს. პირში რომ ჩაიდებს საჭმელს, იქ კბილებით ჭღეპავს და ურევს ნერწყვს, შემდეგ ჭყლაპავს, ესე იგი ყელში (საყლაპავში) ჩაუშვებს და იქიდგამ ჯერ საჭმლის მისაღებ პარკებში მიდის, მერმე კუჭში და იქიდგან ნაწლეევებში.

ცხენებსა, ძაღლებსა და ღორებს ერთიანი, ან ერთ-პარკა კუჭი აქვსთ; ხარ-კამეჩს, ცხვარს და თხას კი კუჭი გაყოფილი აქვს ოთხნაწილად და ამისთვის იმათ კუჭს ეძახიან ოთხ პარკა კუჭსა.

რქიანი საქონელი როდესაც საჭმელს მიღებს, ცოტაფთი დაჭკუწაეს კბილებით და მერე ჭყლაპავს; ჩაყლაპული საჭმელი ჯერ პირველ კუჭში მიდის—ფაშაში; იქ დალბება კუჭის წვენით და გადადის კუჭის მეორე პარკში; აქ უფრო იკუწება და იხსნება წვენში. მაგრამ

რადგან ჯერ ისე თხელი არ არის, რომ ნაწლეველში ადვილად გაეიდეს, ამისთვის კუჭი, შეფუხუწეთია ან გაკმეთი ამ მესამე პარკიდგან უკანეკ გზაენის საჰმელს პირში, (ამას ჩვენში ეეძახით ცოხენასს); მაშინ მეორედ ილეტება, უფრო თხელდება და ბოლოს ამ მეორედ დაღეტილ საჰმელს საქონელი ჰყლაპავს და ეს ნაცოხნი მიდის პირდაპირ კუჭის მესამე და მეოთხე პარკში. სსამელსა და თხელ საჰმელს, მაგალითად: კარტოფილს, ფქვილს, ჯარხალს და სხვას როდესაც საქონელი ჰყლაპავს, მაშინ ამისთანა საჰმელი მიდის პირდაპირ კუჭის მესამე ან მეოთხე პარკში.

საჰმელი იხარშება კუჭში კუჭის წვენის შემწეობით, თხელდება (ილესება) და კუჭიდამ მიდის წერილსა და სხვილს ნაწლეველებში; აქ, ნოყიერი რაც არის, გადიქცევა რძის ვვარ, თეთრ წვენად, ამ წვენიდგან მზადდება სისხლი; ხოლო დანარჩენი კი, რაც მეტია, უკანა ტანიდგან გადის ნეხვისა, ანუ ფინთის მსგავსად.

Ახოველი რომ საჰმელს მიიღებს, იმ საჰმელს პირში ნერწყვი ერევა, ყელში — ლორწო ემატება, კუჭში—კუჭის წვენი, ნაწლეველებში კი კუჭის ქვეშეთი ზღმორღლების წვენი და ნაღველა. ეს ყველა ჰშველის საჰმელს რიგიანად მოხარშვაში.

პირუტყვის, უკან ტანიდგან გამონადენით და აგრეთვე შარდით ადვილათ შეიძლება შეატყოს კაცმა ავად მყოფია, თუ კარგათ მყოფია პირუტყვი.

ს ი ს ხ ლ ი.

საჰმელს რომ სჭამს პირუტყვი, ეს საჰმელი პირიდამ მიდის კუჭში, იქ თხელდება და იხსნება. კუჭიდამ გადის ნაწლებში, აქ იმ საჰმლიდამ მზადდება რძის მგზავსი, ნოყიერი წვენი; ამ წვენიდგან მზადდება სისხლი. სისხლი არის ალისფერი ან მუქიწითელი ფერისა; სისხლი ინახება გულში და სისხლის მარცვლებში; ეს მარცვლები მთელ სხეულში გაბმულ გამობმულნი არიან და გააქვსთ სისხლი სხეულის ყველა ნაწილებში და ასაზრდოებენ მთელს სხეულს.

ბული არის გაყოფილი ჯვარედინათ ოთხ ნაწილზედ. ბული ძეგს მკერდის მარცხენა მხარეზედ და სახით ემსგავსება კაცის მუშტს. ძვეეთი ბოლო გულს მომწყტო აქვს, ზეეთი ბოლო კი მომგერალო აქვს და განიერი. ბულის მარცხენა მხარეში და აგრეთვე ამ მხარიდგან მიბმულ სისხლის მარცვლებში მდინარეობს ალის ფერი სისხლი; ხოლო გულის მარჯვენა მხარეში და იმის მარცვლებში მდინარეობს მუქი-წითელი ფერის სისხლი. პირველს, გულის მარცხენა მხარის, სისხლის მარცვლებს ეძახიან მ ფ ე თ ქ ვ ე მ ა ს რ ე ბ ს, ანუ ა რ ტ ე რ ი ე ბ ს; მარჯვენა მხრისას კი — ს ი ს ხ ლ ი ს უ კ უ მ ქ ც ე ე ლ მ ა ს რ ე ბ ს ანუ ვ ე ნ ე ბ ს.

ზოგიერთ პირუტყეს ბევრი სისხლი აქვს, ზოგს კი ცოტა; საქონლის სისხლის სიბევრე და სიცოტაე ჰკიდია ჯიშზედ, ხანზედ, ჰმევაზედ, შენახვაზედ და სხვ. შეტყობილია, რომ ძროხებს უფრო ბევრი სისხლი აქვსთ, ვიდრე ხარებს; გამხდარ საქონელს უფრო ბევრი აქვს, ვიდრე მსუქანს. ძარღვიდგან გამოშვებული სისხლი არის წებოიანი, არა წმინდა თხლე, (*) რომელიც შემდგარიყ თხელი (წყალი) და მკერიე (სისხლის სორსალი) ნაწილებიდგან.

მთელ სხეულში სისხლის მდინარეობა მოხდება გულისა და სისხლის მარცვლების ან ძარღვების შემწეობით. ბული წამ დაწამ იფხუწება და იბიმება ხოლმე; როდესაც გული შეიფხუწება, მაშინ ის თავისი ჩამდგარს სისხლს ერიკება ძარღვებში. ამ დროს მომწყეტო ბოლო გულისა ზეეთ აიწევს ხოლმე და ჰხედება მკერდს; ამას ეეძახით გულის ცემას (გული უცემს).

Ახერის გული ერთ წამში (მინუტში) ორმოცდა ხუთჯერ ან ორმოცდა ათჯერა სცემს, რქიანი საქონლის გული — ოცდა თხუთმეტჯერ, თუ ორმოცჯერ, ძაღლებისა და კატებისა კი — ოთხმოცდა ათჯერ და ას ჯერაც ერთ წამში. Ავათ-მყოფ საქონელს გული ან ხშირად უცემს (ძალიანი სისუსტის დროს), ან უფრო ნელა (როდესაც დასიცხული, ან ანთება აქვს).

Ა ხ ო ვ ე ლ თ ს უ ნ თ ქ ვ ა ზ ე დ.

Ახოველი რომ დაიბადება, მაშინვე იწყებს სუნთქვას, და მინამ არ მოკვდება, სუნთქვას არ მოიშლის. Ყველა ცხოველი ფილტვებითა სუნთქავს; ეს ფილტვები მკერდის ქვეშ უწყვია ორ ნაწილად, ერთი ნახევარი — მარჯვენა მხარეზე და მეორე — მარცხენაზე. (ამისთვის ამბობენ მარჯვენა და მარცხენა ფილტვი).

ბარეგანი ჰაერი ცხოველის ტანში ცხვირით შედის, ან პირით; იქიდგან საყლაპავს გასცილდება და ჩავა ყანყრატოში, ხოლო ყანყრატიდგან ფილტვში.

სუნთქვა ორნაირად მოხდება ხოლმე: ჯერ ცხოველი შეისუნთქავს და ჰაერით აივსებს ფილტვს; მერმე გამოისუნთქავს და ფილტვებში მყოფ ჰაერს უკანეკ გამოუშვებს გარეთ.

Ახენს მარტო ცხვირით შეუძლიან სუნთქვა; სხვა ცხოველები კი პირითაც ჰსუნთქავენ; მაგალითად ძაღლი.

Ახენები და ძროხები ერთ წამში (მინუტში) რვაჯერ, ან თუთხმეტჯერ ჰსუნთქვენ, ცხერები და თხები ოცჯერ, ძაღლები და კატები ოცდა ოთხჯერ და მეტსაც.

Ადამიანისგან, სიცხისაგან შეშინებისაგან და სხვ. სუნთქვა გახშირდება ხოლმე.

Ავად-მყოფობის დროს, ცხოველები ჩვეულებაზედ ან უფრო ხშირად ჰსუნთქვენ ან უფრო იშვიათად (ნელა).

რა მნიშვნელობა აქვს წყალსა საზოგადოთ და საიდგან წარმოსდგება წვიმა.

(გაგრძელება).

Ახლა ესთქვათ: როგორ მზადდება წვიმა.

Რასაკვირველია ყველას შეუნიშნავს, რომ წყლის დუღილის დროს, ადუღებულ წყალზედ ორ მზიანი ა ჰდის ზეეთ. ეს ორ მზიანი არის ორთქლად ნაქცევი წყალი, რომელიც ჰაერზედ სუბუქია და ამიტომ შეუძლიან ზეეთ ასვლა. მთელ ქვეყანას ჰმსდის ორთქლი: ზღვებს, ტბებს, მდინარეებს, ტყეებს, ხეებს, მინდერებს და საზოგადოდ მთელი დედა-მიწის ზურგს; ჩვენ ამას ადვილად შევამცნევთ სიცხეში და აგრეთვე როდესაც სველი რამე შრება. Თუმცა ზამთარში ვერ შევამცნევთ ხოლმე ამას, მაგრამ მინც არ უნდა გვეგონოს, რომ ზამთარში არ ასდის ორთქლი დედამიწას. Ამის დასამტკიცებლად საკმაოა ეკითხოთ: ზამთარში რომ წვიმა, ან თოვლი მოვა ხოლმე და მერე რომ შრება მიწა — ის მოსული წვიმა ან თოვლი სად მიდის? Რასაკვირველია ზოგი მიწაში უჯდება და რაც ზეეთ პირზედ დარჩება — ის ისევ ჰაერში მიდის ორთქლად; სველ სარეცხს რომ გაჰფენენ ხოლმე ზამთარში, იმ სარეცხის სისველე რომ ორთქლად არ იქცეს და ჰაერში არ აივიდეს — სარეცხის გაშრობა შეუძლებელია. მაშ რადგან ზამთარშიაც შრება სველი სარეცხი, ან

(*) ლვინის თხლე კი არ გეგონოსთ-ყველა თხელ რამეს თ ხ ლ ე ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახი,—სჩანს, რომ ზღვებსაც და ერთი სი-ყვით მთელ დედამიწის ზურგს ზამთარშიაც სხის ორთქლი. ეს კი, რომ სიცხის დროს, ზაფხულში, უფრო ბევრი ორთქლი ადის ჰაერში და სიცივეში კი, ზამთარში, უფრო ნაკლები.

ეს დედამიწიდგან ასული ორთქლი, როცა ერთად შეჯგუფდება ხოლმე, მაშინ ჩვენ გვეჩვენება შავ-გროვებად, რომელსაც ვეძახით ღრუბელს. (მაშ ცაში რომ ღრუბელია, ჰაერის ღრუბელი არ არის, არამედ შეჯგუფებული ორთქლია). როდესაც ეს შეჯგუფებული ორთქლი ცივს ჰაერს შეეხება, მაშინ გაცივდება ხოლმე და ამ გაცივების დროს ისეთი ხასიათი აქვს ორთქლსა, რომ ერთმანერთს მიეკვრება ხოლმე და წყლის წვეთებად იქცევა; ეს წყლის წვეთები რადგან ჰაერზე მძიმენი არიან, ამის გამო ისევ დედამიწაზედ ეცემიან ხოლმე წვიმად.

ამის დამტკიცებაც ადვილია. აბანოში რომ შეხვალთ, უეჭველია, ადვილად შეამცნევთ ბუღს; ეს ბუღი არის ცხელი წყლის ორთქლი, რომელიც თავის სისუმბუქის გამო ჰაერში ზევით-ზევით ცურავს. მერე რომ აიხედავთ აბანოს ჭერში, იქ დაინახავთ წყლის წვეთებს. ეს წვეთები საიდამ გაჩენილა? რაღა თქმა უნდა, რომ წყლის ორთქლიდგან. რა ორთქლიც შეჰხებია ჭერს გაციებულა და ქცეულა წყლის წვეთებად და თავის სიმძიმისა გამო ან სწვეთავს და ან კედლებზე ცურვით ჩამოდის ისევ ძირს.

ზაფხულის დილაზე ხშირად მოედებათ ხოლმე სოფლებსა და ტყეებს ნისლი. ეს ნისლი არის ქვევით დაწეული ორთქლის ღრუბელი. ამ ნისლიან დროს რომ შეეხოთ ბალახს, ან ხის ფოთლებს,—უთუოდ სველი იქნება. ეს სისველეც იმისგან წარმოსდგება, რომ, რა ორთქლიც შეჰხებია ხესა და ბალახს—გაციებულა და ისევ წყლათა ქცეულა.

ბოლოს უნდა გავიმეოროთ, რომ სითბოს ესეთი თვისება აქვს: როგორც წყალს, ისე სხვა ნივთიერებასაც აქცევს ორთქლად და ააქვს ზევით ჰაერში; შემდეგ ეს ორთქლად ნაქცევი ნივთიერება რომ ცივ ჰაერს, ქარს (თავის დროზედ იმასაც ვიტყვით, თუ ქარი საიდამ წარმოსდგება), შეეხება—თითონაც ცივდება, ამის გამო ორთქლის წვრილი ნაწილები ერთდებიან, წვეთებად ჰხდებიან და თავის სიმძიმისა გამო ისევ დედამიწაზედ ეცემიან წვიმის წვეთებად. აი, როგორ წარმოსდგება წვიმა და რა არის ის ღრუბლები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ხოლმე ცაში.

ახლა ისა ვსთქვათ, თუ რა დამოკიდებულება აქვს მხარის გარემოებას (*) წვიმის სიცოტავეზე და სიბევრეზე, ესე იგი რა რიგ ქვეყანაში უფრო ხშირად მოდის წვიმა და რა რიგში უფრო იშვიათად. ზევითა ვსთქვი, რომ დედა-მიწის ზურგზე არც ერთი ბეწო ადგილი არ არის, რომ ორთქლი არ ადიოდეს. რასაკვირველია, სადაც წყალი უხვად არის, იქ უფრო ბევრი ორთქლი უნდა აჰდიოდეს ჰაერში, სადაც მშრალი მიწა უფრო ბევრია, იქ ორთქლიც ნაკლებად ავა და სადაც სულ გამხმარი დედა-მიწაა, უწყლო, როგორც ზოგი ერთი უდაბური ადგილები,—იქ ძალიან მცირე ორთქლი ავა, ასე რომ სათქმელიც არ არის.

მაშ უეჭველია სველეთიდგან (ზღვებიდგან) უფრო ბევრი ორთქლი ავა, ვიდრე ხმელეთიდგან (მიწიდგან). აგრეთვე უნდა ვიცოდეთ, რომ დედამიწისა და წყლის გარდა—მცენარეებს (**) და ცხოველებსაც აჰდისთ ორთქლი; მაშ სადაც ბევრი ტყეები და ბალახებია,—იქ უფრო ბევრი ორთქლი ავა, ვიდრე უტყეო და უმცენარო ალაგას, და აგრეთვე სადაც უფრო მჭიდროდ არის დაშენებული ქვეყანა, იქ უფრო ბევრი ორთქლი იქნება, ვიდრე დაუშენებელ, უდაბურ ალაგას. ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რომელ ქვეყნებსაც მზე პირდაპირ უცქერის და აცხობს (ათბობს), იქ უფრო ბევრი ორთქლი ავა დედა-მიწიდგან, და რომელ ქვეყნებსაც კი გაზათა ჰხვდება მზის სხივები და იმიტომ ცივა იქ უფრო ნაკლებად. აქედამ გამოდის, რომ იმ ქვეყნებში, რომელნიც ტყიანები არიან, წყალი ბევრი აქვსთ, და მზეც პირდაპირ დასცქერის და აცხობს, იქ წვიმაც ბევრი მოვა, რადგანაც იმისთანა გარემოებიან ქვეყნებიდგან ორთქლი ბევრი ავა ჰაერში; ხოლო რომელ ქვეყანაშიაც ტყე არ არის, ან გაკაფულია, უწყლოა, უდაბური მინდვრებია და ცივი,—იქ წვიმაც ცოტა მოვა და ზოგან ათასში ერთხელ. (ამასთან ესეც არის, რამდენიც ზღვაზედ ახლოა ქვეყანა, იმდენი წვიმა უფრო უხვად მოდის, და რამდენიც ქვეყანა განშორებულია ზღვაზე, იმდენი წვიმაც ნაკლები მოვა).

ამ საზოგადო ბუნების (ქვეყნის) კანონებიდამ შეიძლება გამოვიყვანოთ ეს გამოსადეგი დასკვნა (გამოყვანა). ტყეს არაოდეს არ უნდა მოეპყრას კაცი დაუდევნელად და ისე დაუზოგავად არ უნდა გაჰკაფოს, რომ იმის სანაცვლო არ დანერგოს; ან გაკაფული უნდა დააყოროლოს, რომ ხელ ახლად ვაშენდეს. თუ ტყე საკმაოდ აქვს მხარეს, იმ მხარეში გვალვა იშვიათად მოხდება, და თუ მოხდა—ცოტა-ხანს გასწევს. ამის გარდა ტყე სხვა ფრივაც ჰშველის მიწის ნაყოფიერებას. ტყიანი მხარე ყოველთვის ნოტიოა და ისე არ გახმება იქაური ნიადაგი, რომ გამოიფიტოს სრულებით და ველარ მისცეს საზრდო მცენარის ფესვებს. აგრეთვე ტყიან ალაგას წვიმისაგან რღვნა (ნიაღვარი) იშვიათად მოხდება ხოლმე. როდესაც ტყეზე მოდის წვიმა, იმის წვეთებს ხის ფოთლები მაშინვე ძირს არ უშვებენ, არამედ ნელ-ნელა აწვეთებენ; ამის გამო წვიმა ასწრობს ნიადაგში გაჯდომას. უტყეო ალაგას კი წვიმა ერთბაშად ეცემა დედა-მიწაზე, ველარ ასწრობს ნიადაგში გაჯდომას, ჰხდება ნიაღვრად და მდინარეებში მიდის; ამასთან ეს ნიაღვრები ზევით-პირ ნაყოფიერ მიწას ჰგლეჯენ და ჰლექვენ მდინარეებში და ხევებში. აგრეთვე ამისთანა ტყიან ალაგებში მდინარეებიც ხშირად ადიდდებიან ხოლმე და თავის ნაყოფიერ, დათესილ ნაპირებს სრულებით წაჰლექვენ ხოლმე. შარშან, ზაფხულში, რომ იმერეთში მოხდა რიონის ადიდება და ბევრი დათესილი ყანები წაახდინა ნაპირებზედ,—ეს ადიდება სწორედ იმისგან იყო, რომ ახლო-მახლო მთებზე მოსულმა წვიმამ ბინა ველარ მოიკიდა, მოგროვდა ხევებში და შემოერთო რიონს; ბინაც იმიტომ ველარ მოიკიდა, რომ ახლო-მახლო მთებზედ ტყეები გაკაფეს დაუნდობლად და ახალის დაშენებაზედ აღარ იფიქრეს.

მეორე დასკვნა (გამოყვანა) ის იქნება, რომ სადაც წყალი ცოტაა, ესე იგი მდინარეები, ტბები, რუები ნაკლებად არის და ამის გამო ორთქლი ცოტა ადის ჰაერში და წვიმაც სულ იშვი-

---

(*) მაგალითად: ტყე, წყლები, ტბები, ზღვები, მთები, მდებარეობა და სხვ.—ეს სულ ყველა არის მხარის გარემოება. აგრეთვე უწყლოობა, სიცივე, სიცხე, ქარები და სხვა სულ მხარის გარემოება არის. ჩვენი ქვეყნის გარემოება არის: მთები, ტყეები, წყლები, მშვენიერი ჰავა, სიგრილე და საზოგადოდ ყველაფერი რაც ჩვენ ქვეყანაშია და მოქმედებს იმაზედ.

(**) მცენარე ჰქვიან მიწიდგან აღმოცენებულს, მიწიდგან ამოსულს, ყველა ბალახსა და ხეხილს.

ათია,—იქ შეიძლება ისეთი ოსტატობა იხმაროს, რომ წყლები გააბევროს. ამისთვის ზოგიერთ უდაბურ, უწყლო მინდვრებში გაჰყავთ ხშირი (ახლო-ახლო) რუები და მიუგდებენ საიდგანმე შიგ წყალს. ამ გვარად სიხმოსაგან გახრიაკებული მინდორი სველდება, მალე აღარა შრება და მაშინ ორთქლიც ბევრი ადის ჰაერში; მაშინ ამ მხარეზედაც მოვა წვიმა. ეს ოსტატობა ბევრ გახრეკილ ალაგებში მოუხდენიათ და ამით უნაყოფო და უწვიმო ალაგები გაუნაყოფიერებიათ და დაუშენებიათ. მაშინ ტყეც ადვილად გაუშენებიათ და ერთი სიტყვით, უსარგებლო მიწები სასარგებლო მიწებად გადაუქცევიათ.

ამ გვარად, როდესაც კაცმა იცის ბუნების (ქვეყნის) კანონები, ესე იგი ისა, როდის რა მოხდება, საიდგან რა წარმოსდგება,—მაშინ ყველა ნაკლულევანებას ადვილად შეისრულებს, ყველა გაჭირვებას ადვილად უშველის; მაშინ აღარც ტყეებს გასწყვეტავს დაუნდობლად, უწყლო ალაგებშიაც წყლებს გაიყვანს, ბევრ შრომასაც არ დაზოგავს, თუ კი გამოსავალი კარგი ექმნება იმ შრომას და საზოგადოდ უფიქრელად და უზრუნველად აღარ მოიქცევა.

ანგარიშში სახმარებელი ნიშნები ანუ ციფრები.

ამ ნიშნების ანუ ციფრების ცოდნა ძალიან გამოსადეგი რამ არის ცხოვრებაში ანგარიშისთვის. ამ ნიშნების დასწავლაც ადვილია, თუ კაცი მოინდომებს. ვინც არ იცის, იმან უნდა აილოს ათამდის და გაიზეპიროს; მერე გასაბეჯითებლათ აილოს ძროხის ბეჭი და ზედ ან კალმით, ან ნახშირით სწეროს ისა, რაც საანგარიშო ნიშნები გაუზეპირებია. როცა კარგათ გაიბეჯითებს ათამდის საანგარიშო ციფრებსა, მერმე ოცამდის უნდა ისწავლოს და სწეროს ისე, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ: ამ რიგათ საანგარიშო ნიშნების წერასა ძალიან მალე ისწავლის კაცი.

1—ერთი.
2 -ორი.
3—სამი.
4—ოთხი.
5—ხუთი.
6—ექვსი.
7—შვიდი.
8—რვა.
9—ცხრა
10--ათი.
11—თერთმეტი.
12—თორმეტი.
13—ცამეტი.
14—თოთხმეტი.
15—თხუთმეტი.
16—თექვსმეტი.
17—ჩვიდმეტი.
18—თვრამეტი.
19—ცხრამეტი.
20—ოცი.
21—ოცდა ერთი.
22—ოც და ორი.
23—ოც და სამი.
24—ოც და ოთხი.
27—ოც და შვიდი.
29—ოც და ცხრა.
30—ოც და ათი.
31—ოც და თერ-
32—ოც და თორთმეტი.
33—ოც და ცამეტი.
36—ოც და თექვსმეტი.
39—ოც და ცხრამეტი.
40--ორმოცი.
41—ორმოც და ერთი.
44—ორმოც და ოთხი.
48—ორმოც და რვა.
49—ორმოც და ცხრა.
50—ორმოც და ათი.
51—ორმოც და თერთმეტი.
55—ორმოც და თხუთმეტი.
59—ორმოც და ცხრამეტი.
60—სამოცი
61—სამოც და ერთი.
69—სამოც და ცხრა.
70—სამოც და ათი.
71—სამოც და თერთმეტი.
77—სამოც და ჩვიდმეტი.
79—სამოც და ცხრამეტი.
80—ოთხმოცი.
82—ოთხმოც და ორი.
89--ოთხმოც და ცხრა.
90—ოთხმოც და ათი.
99—ოთხმოც და ცხრამეტი.
100—ასი.
101—ას ერთი.
105—ას ხუთი.
109—ას ცხრა.
110—ას ათი.
111—ას თერთმეტი.
155—ას ორმოც და თხუთმეტი.
199--ას ოთხმოც და ცხრამეტ
200—ორასი.
276—ორას სამოცდა თექვსმეტ
299—ორას ოთხმოც და ცხრ მეტ
300—სამასი.
400—ოთხასი.
500—ხუთასი,
600—ექვსასი
700—შვიდასი.
800—რვაასი.
900—ცხრაასი.
999—ცხრაას ოთხმოცდა ცხრ მეტ
1000—ათასი.
1001—ათას ერთი.
1009—ათას ცხრა.
1020—ათას ოცი.
1643—ათას ექვსას ორმოც ხუთ
1865—ათას რვაას სამოცდა ხუთ
1999—ათას ცხრაას ოთხმოც ცხრამეტ
2000—ორი ათასი.
3000—სამი ათასი.
4000--ოთხი ათასი.
7000—შვიდი ათასი.
9000—ცხრა ათასი.
10000—ათი ათასი.
25000--ოც და ხუთი ათასი.
99000—ოთხმოც და ცხრამეტ ათას
100000—ასი ათ.სი.
1000000—მილიონი.

ქართული ანბანი და პირველ საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, მეორე გამოცემა, ისყიდება შემდგომ ადგილებში: ტფილისში სემენარიაში, ალადათოვის, ბერენშტამის და ვართანოვის წიგნის მაგაზიებში; ქუთაისში სასულიერო სასწავლებელში გ. კალანდარისშვილთან; გორ ში სასულიერო სასწავლებელში ლაშაურისას; სიღნაღში— მ. ლაზარ ტურიევისას. ფასი ყველგან ორი შა რია.—

განცხადება.

მისის დიდებულების სვიტის გერენალმაიორი თავადი დავით ჭავჭავაძე აცნობებს ტფილისის საზოგადოებას, რომ გალავინის პროსპექტზე მირიმანოვის სახლში იმან გახსნა კახურის ღვინის სარდაფი ამ ზედწარწერით: „კახური ღვინოები თავადი დავით ალექსანდრეს ძის ჭავჭავაძისა“. რაიცა შეეხება ღვინის ღირსებასა, მთელმა საქართველომ იცის, ძველიდგანვე სახელ განთქმული დავით ჭავაძის მამულის ღვინო.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го марта 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, რედაკტორი და გამომცემელი გ. წერეთელი